უვნებელი სურსათი – გზა ევროპისკენ

ბროშურა მომზადებულია პროექტ „საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის გაძლიერების“ ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტისა და თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ორგანიზებითა და საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

სიახლე ბიზნესოპერატორებისთვის

(იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან სურსათის/საკვების წარმოებითა და დისტრიბუციით)

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ" კანონმდებლობის რეფორმირების მიზანია ამ სფეროში სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს განვითარება ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სურსათის/საკვების უვნებლობის სფერო მიიჩნევა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად.

ახალი სტანდარტების დანერგვა და ზოგადად ცვლილების განხორციელება ამოცანად ისახავს:

- ✓ საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებას;
- ✓ წარმოებული პროდუქტის (სურსათის/საკვების) ხარისხის რეგულირებას და კონტროლს;
- ✓ პროდუქტის (სურსათის/საკვების) რეალიზაციის წესების დახვეწას;
- ✓ პროდუქტის (სურსათის/საკვების) შემძენის/მომხმარებლის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოებასა და დაცვას;
- ✓ პროდუქტის (სურსათის/საკვების) მწარმოებლის, რეალიზატორისა და დისტრიბუტორის გაძლიერება-განვითარებას ახალ სტანდარტებზე გადასვლით;
- ✓ საქართველოში წარმოებული პროდუქტის (სურსათის/საკვების) სერთიფიცირებას და გატანას ევროკავშირის ბაზარზე.

კითხვა-პასუხი

1

რა ვალდებულებები აკისრია სასურსათო პროდუქციის უშუალო მეწარმეს ან/და დისტრიბუტორს?

ბიზნესოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს და რეგულარულად შეამოწმოს სურსათის/საკვების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. აუცილებელია, მომხმარებელს მიაწოდოს უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ. მათ შორის, იმ ტექნიკურ რეგლამენტებსა თუ სტანდარტებზე, რომლის მოთხოვნებსაც შეესაბამება ესა თუ ის პროდუქცია. სარეალიზაციოდ განთავსებულ საკვებ პროდუქტებს თუ სასურსათო ნედლეულს უნდა გააჩნდეს დამამზადებლის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც დადასტურებულია მათი ხარისხიანობა. იგივე მოთხოვნები უნდა წავუყენოთ იმპორტირებულ პროდუქციას.

2

როგორ მივიღოთ ნებართვები?

სურსათის/საკვების ეროვნული სააგენტო გასცემს 2 სახის ნებართვას:

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციაა - ყველა სახის ცხოველი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და ნედლეული, ცხოველთა სურსათი/საკვები (საკვებდანამატები), ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატები. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტისათვის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება;
2. სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
3. ვეტერინარული სერტიფიკატი;
4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

2. ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტზე. ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციაა - ფიტოსანიტარულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება. ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისათვის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება;
2. სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

3

რა შემთხვევაში ექვემდებარება სურსათი განადგურებას და ვინ იღებს გადაწყვეტილებას ამის შესახებ?

სურსათი ექვემდებარება განადგურებას იმ შემთხვევაში, თუ იგი გაფუჭებულია, ვადაგასულია, ან წარმოადგენს დაავადების აღმოცენების ან გარემოს დაბინძურების წყაროს. სურსათის/საკვების განადგურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, ასევე ქ. თბილისის სამმართველოსა და რეგიონალური სამმართველოების უფროსები. განადგურების ხარჯებს ანაზღაურებს მწარმოებელი ან დისტრიბუტორი.

4

არსებობს თუ არა რაიმე სახის შეღავათები მცირე ბიზნესოპერატორებისთვის?

მცირე ბიზნესოპერატორებისთვის გათვალისწინებულია გამარტივებული მოთხოვნების დაწესება. კერძოდ, იმ პირებისთვის, რომლებიც ეწევიან სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, დამუშავებას, დისტრიბუციას, პირველად წარმოებას და:

ა) აქვთ მცირე ბიზნესის სტატუსი და იყენებენ ტრადიცულ მეთოდებს;

ბ) საქმიანობენ მაღალმთიან რეგიონში, რომლისთვისაც გათვალისწინებულია გარკვეული პრივილეგიები;

გ) უშუალოდ აწოდებენ მცირე ოდენობის სურსათს ადგილობრივ მომხმარებლებს.

5

რომელი ორგანოები ახორციელებენ სურსათის უსაფრთხოების სფეროს პოლიტიკის განსაზღვრასა და უზრუნველყოფას?

დღესდღეობით საქართველოში არსებული პროდუქტის უსაფრთხოების ინსტიტუციური ჩარჩო აერთიანებს რამდენიმე ორგანოს, რომელთა კოორდინაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს სურსათის/საკვების უვნებლობის ეფექტური კონტროლის განსახორციელებლად. ეს უწყებებია – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული სურსათის/საკვების ეროვნული სააგენტო, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების სასაზღვრო კონტროლს), სახელმწიფო და კერძო ლაბორატორიათა სისტემა.

6

რა ფორმებით ხორციელდება სურსათის უვნებლობაზე სახელმწიფო კონტროლი?

კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:

- ✓ გეგმური და არაგეგმიური ინსპექტირება;
- ✓ მონიტორინგი;
- ✓ დოკუმენტური შემოწმება;
- ✓ ნიმუშის აღება;
- ✓ ზედამხედველობა.

7

რა სიახლეა ინსპექტირებასთან დაკავშირებით?

მხოლოდ გეგმური ინსპექტირების ჩატარება შეუძლია იმ მეწარმე სუბიექტს, რომელიც აკრედიტირებულია საქართველოს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. მასზე კონტროლს ახორციელებს სურსათის/საკვების ეროვნული სააგენტო.

საკონტაქტო ინფორმაცია:
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
საქართველო, თბილისი,
მარშალ გელოვანის გამზ. №6
ტელეფონი: 291 91 67
ცხელი ხაზი: 291 91 67 (120)
ცხელი ხაზი ნებართვების შესახებ: 291 91 67 (108)
ფაქსი: 291 9165
ვებ–გვერდი: http://nfa.gov.ge/

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან
ინტეგრაციის კომიტეტი:
რუსთაველის გამზირი 8
თბილისი, საქართველო 0108
www.parliament.ge /ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი.
დაგვიკავშირდით: europa@parliament.ge

თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი:
თბილისი, საქართველო,
ილია ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ მე–2 კორპუსი, ოთახი 406.
ვებ–გვერდი: www.ies.tsu.ge, www. ies.tsu.edu.ge
ელ–ფოსტა: info_ies@tsu.ge